ავიცენა

ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი

„დამტკიცებულია“

შპს „ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის “რექტორის 2022 წლის 05 ოქტომბრის № 01-09/17 ბრძანების №1 დანართი

კოდიფიცირებული:

შპს „ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის “ აკადემიური საბჭოს 2025 წლის 16 იანვრის №01-07/09 დადგენილებით

შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის წესი

2025

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 1
მუხლი 2. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები 1
მუხლი 3. აკადემიური არაკეთილსინდისიერების სახეები 1
მუხლი 4. პლაგიატის თავიდან აცილება - პრევენციული ღონისძიებები 3
მუხლი 5. პლაგიატის აღმოჩენის, შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები 3
მუხლი 6. რეაგირების მექანიზმები უნივერსიტეტის პერსონალის ნაშრომში პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევებზე 5
მუხლი 7. რეაგირების მექანიზმები სტუდენტის ნაშრომში პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევებზე 6
მუხლი 8. აპელაცია 8
მუხლი 9. დასკვნითი დებულებები 8

ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

N	თარიღი	ნდ-ის ნომერი	დოკუმენტის მიმღები	ცვლილება	ვერსია	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7
1	05.10.2022	01-09/17	რექტორი	პირველადი რედაქცია	01	
2	16.01.2025	01-07/09	აკადემიური საბჭო	კოდიფიცირებული	02	

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე წესი (რეგულაცია) განსაზღვრავს შპს „ავიცენა – ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტში“ (შემდგომში „ავიცენა“ ან „უნივერსიტეტი“) აკადემიური კეთილსინდისიერების ძირითად პრინციპებს, აკადემიური არაკეთილსინდისიერებისა და პლაგიატის სახეებს, მათი თავიდან აცილების – პრევენციის ღონისძიებებს, აკადემიური არაკეთილსინდისიერების/პლაგიატის აღმოჩენის, აღნიშნულ შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებსა და მექანიზმებს.

1.2. წინამდებარე წესის მიზანია აკადემიური კეთილსინდისიერების დამკვიდრების ხელშეწყობა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, საავტორო უფლებების აღიარება და აკადემიური არაკეთილსინდისიერების/პლაგიატის აღმოსაჩენად ეფექტური მექანიზმების დანერგვის გზით მათი პრევენცია.

1.3. წინამდებარე დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესის განმახორციელებელ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალზე (შემდეგში – ლექტორი) და სტუდენტებზე;

1.4. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს წინამდებარე წესის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას ავიცენას ვებგვერდის მეშვეობით.

მუხლი 2. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები

2.1. უნივერსიტეტი ცნობს და აღიარებს აკადემიური კეთილსინდისიერების შემდეგ ძირითად პრინციპებს:

ა) საუნივერსიტეტო საქმიანობის, სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესში აკადემიური კეთილსინდისიერების აღიარება ერთ-ერთ მთავარ ღირებულებად;

ბ) საუნივერსიტეტო საქმიანობის, სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესში პასუხისმგებლობის, პატივისცემის, ნდობის, არადისკრიმინაციული მიდგომის, გამჭვირვალობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის შენარჩუნება/გამოხატვა;

გ) უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტებში აკადემიური კეთილსინდისიერების თვითშეგნებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;

დ) საუნივერსიტეტო საქმიანობაში აკადემიური არაკეთილსინდისიერების დაუშვებლობა;

მუხლი 3. აკადემიური არაკეთილსინდისიერების სახეები

3.1. აკადემიურ არაკეთილსინდისიერებად განიხილება:

3.1.1. **აკადემიური თაღლითობა** – პირადი ინტერესებიდან გამომდინარე საკუთარი თავის წარმოსაჩენად ან რაიმე სარგებლის მისაღებად გამიზნული, განზრახ ჩადენილი არაკეთილსინდისიერი ქმედება, კერძოდ:

ა) სამეცნიერო-აკადემიური ნაშრომის ან რაიმე სხვა სახის სასწავლო მასალის თუ რესურსის (სტატისტიკური მონაცემები, კვლევის შედეგები, ვიდეო-აუდიო მასალა და სხვ.) ავტორის ნებართვის გარეშე მოპოვება, გამოყენება ან/და გავრცელება;

ბ) სწავლა-სწავლების პროცესში, აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებისას სუბიექტური დამოკიდებულების გამოვლენა, კარნახი, გადაწერა, სხვა სტუდენტებისთვის მუშაობაში ხელის შეშლა, ლექტორის მიერ სტუდენტისთვის საგამოცდო ტესტის მიწოდება, საგამოცდო მასალის გადაგზავნა, სხვის მაგივრად გამოცდაზე გასვლა და სხვა).

გ) სხვის მაგივრად სამეცნიერო-აკადემიური ნაშრომის/დავალების შესრულება ან სხვისი ნამუშევრის მითვისება ან შეძენა.

დ) შეფასების გაყალბება ან გაყალბების მცდელობა.

3.1.2. **ტყუილი** - პირადი ინტერესებიდან გამომდინარე არასწორი ინფორმაციის მიწოდება ან განზრახ გავრცელება სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის განხორცილების პროცესში, კერძოდ:

ა) ავადმყოფობის ან სხვა ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე მიზეზის მოგონება/შეთხზვა, შრომითი ურთიერთობებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო დისციპლინური პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად;

ბ) სასურველი შედეგების მისაღებად მონაცემების, წყაროების, კვლევის შედეგების, კორესპონდენციის ანდა რაიმე სხვა სახის ინფორმაციის შინაარსის შეცვლა (გაყალბება).

3.1.3. **პროფესიული გულგრილობა** - აკადემიური პერსონალის მიერ პროფესიული ვალდებულებების უგულვებელყოფა, რაც გამოიხატება დაუდევრობით ან/და შრომითი ურთიერთობით გათვალისწინებული პასუხიმგებლობის, ფუნქციებისა და ვალდებულებების მიმართ გულგრილი დამოკიდებულებით, პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების პროცესში ინდიფერენტული, არაპროფესიონალური და არაკოლეგიალური დამოკიდებულებით უნივერსიტეტის პერსონალის მიმართ.

3.1.4. პლაგიატი - საავტორო უფლებების მოპოვების გარეშე სხვისი შემოქმედების, იდეების, მოსაზრებების და სხვა ინტელექტუალური საკუთრების მითვისება/გამოყენება, **მათ შორის:**

ა) პირდაპირი პლაგიატი - სხვისი ნაშრომის გამოყენება ავტორის მითითების გარეშე;

ბ) თვით-პლაგიატი - საკუთარი ძველი ნაშრომის ან ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილის ახლად წარმოჩენა, ციტირების გარეშე;

გ) პერიფრაზირებული პლაგიატი - სხვისი მოსაზრების ფორმულირების ცვლილება ტექსტის ძირითადი შინაარსის და სტრუქტურის შეუცვლელად, ავტორის მითითების გარეშე;

დ) პლაგიატი დაუდევრობით - არასწორი ან არასრული ციტირება დაუდევრობის გამო;

ე) მოზაიკური პლაგიატი - სხვადასხვა წყაროდან აღებული მოსაზრებების გაერთიანება, ავტორების მითითების გარეშე.

3.2. სამეცნიერო-კვლევით ნაშრომში პლაგიატად არ ითვლება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, ორგანიზაციების და ნორმატიული თუ სამართლებრივი აქტების დასახელებები, ამონარიდები საკანონმდებლო-ნორმატიული აქტებიდან, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი, დარგობრივი ტერმინები, დადგენილი წესით ტექსტის ციტირება და სხვა.

მუხლი 4. პლაგიატის თავიდან აცილება - პრევენციული ღონისძიებები

4.1. პლაგიატის თავიდან აცილების მიზნით უნივერსიტეტში ხორციელდება შემდეგი **პრევენციული ღონისძიებები:**

ა) აკადემიური წერის კულტურის დანერგვა;

ბ) აკადემიური კეთილსინდისიერების თვითშეგნებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება როგორც სტუდენტებთან, ასევე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

გ) წინამდებარე წესის და პლაგიატის თავიდან აცილების შესახებ სხვა ინსტრუქციების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (ვებგვერდზე განთავსება), აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებთან დაკავშირებით რეგულარული საინფორმაციო შეხვედრების და სხვა აქტივობების განხორციელება;

დ) პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევებზე რეაგირების პროცედურების და მექანიზმების დანერგვა;

ე) პლაგიატის აღმოჩენის მიზნით, პლაგიატის ამომცნობი ელექტრონული სისტემის - Turnitin-ის (შემდგომში - „ანტიპლაგის სისტემა“ ან „ტურნიტინის პროგრამა”) გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს ნაშრომის ეფექტურ შემოწმებას (ნაშრომის ტექსტის შედარება სხვა ნაშრომებთან/მასალებთან და მსგავსების არსებობის შემთხვევაში პროგრამულ ანგარიშში იმ დოკუმენტ(ებ)ის ასახვა, რომელთანაც მსგავსება გამოვლინდება);

ვ) პლაგიატთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და შესაბამისი დისციპლინური ღონისძიების განხორციელება (შესაბამისი საფუძვლების შემთხვევაში).

მუხლი 5. პლაგიატის აღმოჩენის, შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები

5.1. აკადემიური არაკეთილსინდისიერების (პლაგიატის) ფაქტების გამოვლენა უნივერსიტეტში შესაძლებელია როგორც მატერიალური სახით წარმოდგენილი მასალის შემოწმებითა და დამუშავებით (ხელმძღვანელის/რეცენზენტის დასკვნა - წინამდებარე წესის **დანართი 1),** ასევე ელექტრონულად, ანტიპლაგის სისტემის საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს ნაშრომის ტექსტში სხვა ნაშრომებთან მსგავსების აღმოჩენას.

5.2. უნივერსიტეტის საქმიანობის ფარგლებში მომზადებული სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომები, სტატიები, წიგნები, მონოგრაფიები და სხვა სახის პუბლიკაციები (საჯარო წარდგენამდე) სავალდებულოდ ექვემდებარება ანტიპლაგის სისტემაში შემოწმებას.

5.3. ნაშრომის პლაგიატზე შემოწმება ხორციელდება ავტორის მიერ ნაშრომის **ორიგინალურობის შესახებ განაცხადის** (წინამდებარე წესის **დანართი 2**) წარმოდგენის შემდეგ.

5.4. უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო ნაშრომებისთვის ორიგინალი ტექსტის მოცულობის მინიმალური ზღვარია - 85%, ხოლო სტუდენტის სამეცნიერო-აკადემიური ნაშრომებისთვის - 70%.

5.5. უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალი ვალდებულია მისი ხელმძღვანელობით და/ან მისი ხელმძღვანელობით განხორციელებული სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის ფარგლებში შესრულებული ნაშრომი, რომლისთვისაც გათვალისწინებულია წყაროს მითითების აუცილებლობა, შეაფასოს ანტიპლაგის სისტემაში.

5.6. **ანტიპლაგის სისტემის (Turnitin) ადმინისტრირება** ხორციელდება უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის (შემდგომში - „ცენტრი“) მიერ.

5.7. ანტიპლაგის სისტემაში ნაშრომის შემოწმების შედეგად დამთხვევის/მსგავსების გამოვლენის შემთხვევაში, ნაშრომის შინაარსობრივი დამუშავება ხორციელდება შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ (სასწავლო კურსის ხელმძღვანელი, რეცენზენტი/ცენტრის თანამშრომელი და/ან სამეცნიერო ნაშრომის, პროექტის ხელმძღვანელი). ავტორს ეძლევა ნაშრომის გადამუშავების უფლება (არაუმეტეს 1-ჯერ), ხოლო პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, აკადემიური კეთილსინდისიერების დამრღვევი პირის მიმართ დგება დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.

5.8. ანტიპლაგის ელექტრონულ სისტემაში ნაშრომის შემოწმების შედეგები და პლაგიატის არსებობის/არარსებობის შესახებ დასკვნა, მიღებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში, სამეცნიერო-კვლევით ცენტრის მიერ ეგზავნება რექტორს.

5.9. პლაგიატის ნიშნების (ვარაუდის გაჩენის) შემთხვევაში, საკითხის დეტალური შესწავლის, სამართლიანი, მიუკერძოებელი და ობიექტური დასკვნის გამოტანის მიზნით, ანტიპლაგის სისტემით მიღებული პლაგიატის პროცენტული მაჩვენებელი და ნაშრომის შინაარსი სიღრმისეულად მოწმდება რექტორის ბრძანებით შექმნილი <u>დისციპლინური კომისიის (შემდგომში - „კომისია“)</u> მიერ. კომისიის მოწვევის თაობაზე სამსახურებრივ ბარათს რექტორს წარუდგენს სამეციერო კვლევით ცენტრის ხელმძღვანელი.

5.10. დისციპლინური კომისიის შემადგენლობაში შედის რექტორის მოადგილე, შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ასევე საჭიროების შემთხვევაში მოწვეული სპეციალისტი, ნაშრომის სამეცნიერო კვლევის მიმართულებით და რექტორის ბრძანებით განსაზღვრული სხვა პირი.

5.11. პლაგიატის ნიშნების დადასტურების შემთხვევაში დისციპლინური კომისია განსაზღვრავს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის სახეს, სიმძიმეს და რეაგირების მექანიზმს/დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომას.

მუხლი 6. რეაგირების მექანიზმები უნივერსიტეტის პერსონალის ნაშრომში პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევებზე

6.1. უნივერსიტეტის დასაქმებულის მიერ უნივერსიტეტში საქმიანობის ფარგლებში მომზადებული სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის, სტატიის, წიგნის, მონოგრაფიის ან სხვა აკადემიური ხასიათის პუბლიკაციის ანტიპლაგის ელექტრონულ სისტემაში შემოწმების შედეგად ნაშრომში დამთხვევის/მსგავსების შემთხვევაში, ნაშრომი უბრუნდება ავტორს და ეძლევა შესაძლებლობა წარმოადგინოს ნაშრომის გადამუშავებული ვერსია (მხოლოდ ერთხელ).

6.2. დასაქმებულის მიერ გადამუშავებული ნაშრომის ანტიპლაგის სისტემაში შემოწმების შემდეგ პლაგიატის/დამთხვევის განმეორებით აღმოჩენის შემთხვევაში, შედეგები ეცნობება ავტორს და მის მიმართ იწყება დისციპლინური საქმისწარმოება. დისციპლინური კომისიის მოწვევის თაობაზე სამსახურებრივ ბარათს რექტორს წარუდგენს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი.

6.3. თუ ნაშრომის ავტორი არ ეთანხმება ანტიპლაგის სისტემით მიღებულ უარყოფით შეფასებას, ნაშრომის შეფასება ხდება სამეცნიერო კვლევის მიმართულებით მოწვეული სპეციალისტის/სპეციალისტების (დარგის ექსპერტ(ებ)ი) მიერ. ნაშრომის დაშვების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს დისციპლინური კომისია.

6.4. დისციპლინური საქმისწარმოების ფარგლებში კომისია ამოწმებს ნაშრომში პლაგიატის არსებობის ფაქტს და დადასტურების შემთხვევაში განსაზღვრავს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს.

6.5. დისციპლინური საქმისწარმოების პროცესში აკადემიური კეთილსინდისიერების სავარაუდო დამრღვევ პირს ეძლევა გონივრული ვადა ახსნა-განმარტების წარმოდგენისთვის, იგი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ზეპირ მოსმენაში, მოითხოვოს მოსმენაზე მისი წარმომადგენლის დასწრება ან ზეპირი მოსმენის საჯაროდ გამართვა.

6.6. აკადემიური არაკეთილსინდისიერების ფაქტის/პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, უნივერსიტეტის დასაქმებულს შესაძლოა შეეფარდოს ავიცენას შინაგანაწესით გათვალისწინებული შემდეგი დისციპლინური სახდელებიდან ერთერთი:

ა) შენიშვნა;

ბ) გაფრთხილება;

გ) საყვედური;

დ) შრომის ანაზღაურების დაქვითვა, ერთჯერადად შრომის ანაზღაურების არაუმეტეს 50 პროცენტისა;

ე) პირის შემდგომ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე მონიტორინგის წარმოება;

ვ) დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება / შრომითი ურთიერთობის ცალმხრივად შეწყვეტა.

6.7. უნივერსიტეტის პერსონალის მიმართ შესაფარდებელი დისციპლინური პასუხისმგებლობის სახე დამოკიდებულია პლაგიატის მიმართ ნაშრომის წარმდგენი ავტორის დამოკიდებულებაზე, პლაგიატის სახესა და ნაშრომში აღმოჩენილ პლაგიატის პროცენტულ წილზე.

6.8. უნივერსიტეტის დასაქმებულის მიერ წარდგენილ სამეცნიერო ნაშრომში აღმოჩენილი **პლაგიატის <u>ხარისხი</u>** შეიძლება იყოს:

ა) მსუბუქი ხარისხის- ნაშრომში აღმოჩენილი პლაგიატის/დამთხვევის წილი არ აღემატება 5%-ს;

ბ) საშუალო ხარისხის - ნაშრომში აღმოჩენილი პლაგიატის/დამთხვევის წილი - 6-10%;

გ) მძიმე ხარისხის - ნაშრომში აღმოჩენილი პლაგიატის/დამთხვევის წილი - 11-15% და მეტი.

6.9. დისციპლინური საქმისწარმოების ფარგლებში კომისიის მიერ ჩატარებული მოკვლევის შედეგად ნაშრომში დამთხვევის არსებობის/პლაგიატის ფაქტის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, კომისიის დასკვნა აისახება სხდომის ოქმში და მიღებული დასკვნის შესახებ ეცნობება ნაშრომის ავტორს/სავარაუდო დამრღვევს, დარღვევის თაობაზე განცხადების წარმომადგენს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და რექტორს.

6.10. ანტიპლაგის სისტემით შემოწმების ოქმ(ებ)ის და კომისიის დასკვნების ასლები ინახება აკადემიური კეთილსინდისიერების დამრღვევი პირის (ავტორის) პირად საქმეში.

მუხლი 7. რეაგირების მექანიზმები სტუდენტის ნაშრომში პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევებზე

7.1. სტუდენტის შემთხვევაში პლაგიატის აღმოჩენის და რეაგირების მექანიზმები ეხება როგორც სილაბუსით გათვალისწინებულ წერით დავალებას, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესრულებულ სამეცნიერო-კვლევით ნაშრომს/პროექტს და სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებზე წარსადგენ ნაშრომებს.

7.2. სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი განისაზღვრება უნივერსიტეტში მოქმედი **„სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესის“** შესაბამისად.

7.3. სტუდენტის მიერ შესრულებულ სამეცნიერო ნაშრომში დამთხვევის/მსგავსების შემთხვევაში, იგი უბრუნდება სტუდენტს, ნაშრომის შემდგომი გადამუშავების მიზნით. ავტორს ნაშრომის გადამუშავებული ვერსიის განმეორებით წარმოდგენის უფლება ეძლევა მხოლოდ ერთხელ.

7.4. ანტიპლაგის სისტემაში გადამუშავებული ნაშრომის შემოწმების შემდეგ, პლაგიატის განმეორებით გამოვლენის შემთხვევაში, შედეგები ეცნობება ავტორს და მის მიმართ იწყება დისციპლინური საქმისწარმოება. დისციპლინური კომისიის მოწვევის თაობაზე სამსახურებრივ ბარათს რექტორს წარუდგენს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი.

7.5. თუ ავტორი არ ეთანხმება ანტიპლაგის სისტემით მიღებულ უარყოფით შეფასებას, ნაშრომის შეფასება ხდება სამეცნიერო კვლევის მიმართულებით სკოლის სხვა დასაქმებულის მიერ (სკოლის იმავე ან სხვა დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი) ან მოწვეული სპეციალისტის/სპეციალისტების (დარგის ექსპერტ(ებ)ი) მიერ. ნაშრომის დაშვების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს დისციპლინური კომისია.

7.6. დისციპლინური საქმისწარმოების პროცესში აკადემიური კეთილსინდისიერების სავარაუდო დამრღვევ პირს ეძლევა გონივრული ვადა ახსნა-განმარტების წარმოდგენისთვის, იგი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ზეპირ მოსმენაში, მოითხოვოს მოსმენაზე მისი წარმომადგენლის დასწრება ან ზეპირი მოსმენის საჯაროდ გამართვა.

7.7. პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, აკადემიური კეთილსინდისიერების დამრღვევის/ნაშრომის ავტორის მიმართ დგება დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.

7.8. სტუდენტს შესაძლოა შეეფარდოს ავიცენას შინაგანაწესით გათვალისწინებული შემდეგი დისციპლინური სახდელებიდან ერთ-ერთი:

ა) შენიშვნა;

ბ) გაფრთხილება;

გ) ნაშრომის დადებითი შეფასების გაუქმება (თუკი შეფასებულია)/ნაშრომის უარყოფითი შეფასების ასახვა;

დ) არსებული ფინანსური შეღავათების გაუქმება (ასეთი შეღავათის თაობაზე ავიცენას სამართლებრივი აქტის არსებობის შემთხვევაში);

ე) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

7.9. სტუდენტის მიმართ შესაფარდებელი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა/სახდელის სახე დამოკიდებულია პლაგიატის მიმართ ნაშრომის ავტორის დამოკიდებულებაზე, აკადემიური არაკეთილსიდისიერების/პლაგიატის სახესა და ნაშრომში აღმოჩენილი პლაგიატის საერთო მაჩვენებელზე/პროცენტულ წილზე.

7.10. სტუდენტის მიერ წარდგენილ ნაშრომში აღმოჩენილი **პლაგიატის ხარისხი** შეიძლება იყოს:

ა) მსუბუქი ხარისხის – ნაშრომში აღმოჩენილი პლაგიატის/დამთხვევის წილი არ აღემატება 15%-ს;

ბ) საშუალო ხარისხის – ნაშრომში აღმოჩენილი პლაგიატის/დამთხვევის წილი 16-20%;

გ) მძიმე ხარისხის – ნაშრომში აღმოჩენილი პლაგიატის/დამთხვევის წილი 21-30% და მეტი.

7.11. დისციპლინური საქმისწარმოების ფარგლებში კომისიის მიერ ჩატარებული მოკვლევის შედეგად ნაშრომში დამთხვევის არსებობის/პლაგიატის ფაქტის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, კომისიის დასკვნა აისახება სხდომის ოქმში და მიღებული დასკვნის შესახებ ეცნობება ნაშრომის ავტორს/სავარაუდო დამრღვევს, დარღვევის თაობაზე განმცხადებელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და რექტორს.

7.12. იმ შემთხვევაში, თუ პლაგიატის ფაქტი გამოვლინდება სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ, დისციპლინური კომისია დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე შეისწავლის საკითხს, პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მინიჭებული კვალიფიკაციის გაუქმების შესახებ.

მუხლი 8. აპელაცია

8.1. პლაგიატის/აკადემიური სიყალბის/აკადემიური არაკეთილსინდისიერების ფაქტის დადგენის შესახებ გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს აკადემიურ საბჭოში, პლაგიატთან დაკავშირებით გადაწყვეტილების გამოტანიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

8.2. მომჩივანი უფლებამოსილია საჩივარს (აპელაციას) თან დაურთოს მის ნაშრომში პლაგიატის ფაქტის არარსებობის შესახებ დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა (ასეთ შემთხვევაში მომჩივანმა ექსპერტის მომსახურება უნდა უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით).

8.3. აპელაციის განხილვის თაობაზე აკადემიური საბჭოს სხდომას ესწრება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების სავარაუდო დამრღვევი და მოკვლევაში ჩართული ყველა პირი.

8.4. აპელაციის განხილვა მიმდინარეობს მხარეთა პოზიციის მოსმენით და გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

8.5. აპელაციის განხილვის საფუძველზე, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება იყოს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი:

ა) აპელაციის დაკმაყოფილების შესახებ;

ბ) აპელაციის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

8.6. საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში აკადემიური საბჭოს დადგენილებაში აისახება საბჭოს დასკვნა მომჩივანის ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ.

8.7. აპელაციის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1. წინამდებარე წესი დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით.

9.2. ავიცენას აკადემიური საბჭოს ფორმირების შემდეგ წინამდებარე წესში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ან ახალი რედაქციის დამტკიცება განხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, უნივერსიტეტის წესდების, დებულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეცნიერო ხელმძღვანელის/რეცენზენტის დასკვნა ნაშრომის შესაბამისობაზე

_____
(ავტორის სახელი და გვარი)

სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი: _____
(ნაშრომის დასახელება)

_____

შესრულებულია ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად.

ნაშრომი არ შეიცავს პლაგიატის ნიშნებს, <u>შესაძლებლად მიმაჩნია</u> შესაბამისი პროცედურის დაწყება	☐
ნაშრომი შეიცავს პლაგიატის ნიშნებს, <u>შესაძლებლად არ მიმაჩნია</u> შესაბამისი პროცედურის დაწყება	☐

ხელმძღვანელის/რეცენზენტის სახელი, გვარი _____

აკადემიური თანამდებობა/მოწვეულის სტატუსი _____

ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

ავიცენა
ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი
AVICENNA
Batumi Medical University

ავტორის განაცხადი ნაშრომის ორიგინალურობის შესახებ

მე, _____
(ავტორის სახელი და გვარი)

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ **ჩემი ნაშრომი** თემაზე:

_____

_____

_____

არის ორიგინალური, მომზადებულია და წარმოდგენილია ავიცენას „აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის წესისა და ეთიკური პრინციპების დაცვით, ნაშრომში გამოყენებული სხვა ავტორთა მოსაზრებები, დებულებები და კვლევის შედეგები მითითებულია დადგენილი წესის შესაბამისად.

გაცნობიერებული მაქვს, რომ ჩემი მხრიდან განხორციელებული აკადემიური არაკეთილსინდისიერების ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, შესაძლებელია დადგეს ჩემი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.

ხელმოწერა: _____

თარიღი: _____